ისლამი-ვიდეოა

ყველაზე დიდი წყალობა ისლამია

ამქვეყნად ,მართლმორწმუნესათვის ყველაზე დიდი წყალობა ისლამია. რაც ყველა მუსლიმანს გულის სიღრმეში მტკიცედ სწამს და მადლობას აღავლენს ღმერთის მიმართ, რომ ის ისლამის შეცნობით ბედნიერებას აზიარა . თავად უზენაესი ალლაჰიც ამას ადამიანისთვის ყველაზე დიდ წყალობად თვლის და თავის წმინდა ყურანში ასე ბრძანებს:

`..... დღეს (ამას იქით) სრულვქმენ თქვენთვის სარწმუნოება თქვენი და სრულვჰყავ სიკეთე ჩემი თქვენ(ზედ)დამი. და კეთილვინებე თქვენთვის სარწმუნოებად ისლამი....~
(სურა-მაიდა, აიათი 3)

ამიტომ მადლიერება უნდა გამოვხატოთ ამ დიდი სიკეთის ჩვენთვის მწყალობელი ალლაჰისადმი. თუ-კი მადლობას არ გვეტყვის ადამიანი რომელსაც სიკეთე გავუკეთეთ, მას უმადურს ვუწოდებთ. მაშ, ალლაჰის მიერ ამ უდიდესი სიკეთის – ისლამის ჩვენთვის წყალობისთვის მისდამი მადლიერებას თუ დავივიწყებთ, განა ეს დიდი უმადურება არ იქნება?



აქ შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: `როგორ უნდა გამოვხატოთ მადლიერება ამ უდიდესი სიკეთის ჩვენთვის მწყალობელი ალლაჰისადმი?~.

უზენაესმა ალლაჰმა წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავლის მიმდევრად ყოფნის ბედნიერებას გვაზიარა. ამ სიკეთისთვის მადლობის გამოხატვა შესაძლებელია წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავლის მიერ მოტანილი სარწმუნოების წესების სრული დაცვითა და მის მიერ მითითებულ გზაზე სვლით.

ალლაჰის მიერ ისლამის სახით ბოძებული ამ უდიდესი სიკეთისათვის მადლიერებას არ გამოვხატავთ და უმადურად მოვიქცევით ამით დიდ ცოდვაში ჩავვარდებით და უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აღმოვჩნდებით. ალლაჰმა დაგვიფაროს ამგვარი ცოდვისგან.

ახლა კი შეიძლება დაგებადოთ კითხვა: `როგორ უნდა შესძლოს ადამიანმა, რომ სრული მნიშვნელობით მუსლიმანი იყოს~.

ამის პასუხის გასაცემად დიდი ცოდნაა საჭირო. ამჯერად შემოვიფარგლებით მოკლე განმარტებით, რომელსაც შეიძლება ეწოდოს `პირველი ნაბიჯი ისლამის გზაზე~.

ﷺ არაბულად ეს სიმბოლო ნიშნავს - ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას.

სიტყვა „მუსლიმანის“ მნიშვნელობა

დავუფიქრდეთ, რას ნიშნავს სიტყვა `მუსლიმანი~, რომელსაც ყოველთვის ვიყენებთ?

ბავშვს დაბადებისას ისლამი თან ახლავს?

თუ, ის იმიტომ არის მუსლიმანი, რომ მისი დედ-მამა არიან ან წინაპრები იყვნენ მუსლიმანები? როგორც გერმანელის შვილი გერმანელია, არაბის შვილი არაბი, თურქის შვილი თურქი. ნეტავი მუსლიმანობაც ასეთი რამეა?

ანუ, თუ შეიძლება ადამ



იანი ჩაითვალოს მუსლიმნად მხოლოდ იმით, რომ იგი მუსლიმან საზოგადოებაში დაიბადა?

როგორია პასუხი ამ კითხვებზე? რა თქმა უნდა - `არა~.

მუსლიმანობა არ არის დამოკიდებული არც ეროვნებაზე, არც ქვეყანაზე და არც გვარიშვილობაზე. რომელი ადამიანიც ისლამის სარწმუნოებას აღიარებს ის `მუსლიმანი~ გახდება. რომელი ეროვნებისა, რომელი ქვეყნიდან, რომელი გვარისა და რომელი მოდგმისაც არ უნდა იყოს ის, სულერთია,.

გინდ აფრიკელი იყოს, გინდ იაპონელი, გინდ ფრანგი; ვინც ისლამის სარწმუნოებას აღიარებს, მაშინვე მუსლიმანთა რიგებში დაიკავებს ადგილს და ერთ_ ერთი მათთაგანი გახდება. ხოლო ვინც ისლამის რწმენას უარყოფს, ის მუსლიმანთა რიგებს გამოეთიშება, თუნდაც ეს ადამიანი მუსლიმანი ოჯახის შვილი იყოს, უფრო მეტიც, ეს ადამიანი ღვთის შუამავალთა მოდგმისაც რომ იყოს, არაბი იქნება ეს თუ თურქი სულერთია. როგორც კი ისლამის რწმენას უარყოფს, მუსლიმანობას გამოეთიშება.

მუსლიმანობა დედ-მამისგან მემკვიდრეობით გადადის?

მუსლიმანობა ეროვნებასთან და გვართან დაკავშირებული არ არის,ის მემკვიდრეობის გზით არ გადადის. ეს წყალობა მუსლიმანი ადამიანის საკუთარ გარჯაზეა დამოკიდებული. ამ წყალობის მოსაპოვებლად ბევრს თუ შევეცდებით მისი მოპოვების ღირსი გავხდებით; თუ მისდამი დიდ ინტერესსა და ლტოლვას არ გამოვიჩენთ, მას დავკარგავთ.

ვამბობთ, რომ ვინც ისლამს მიიღებს მუსლიმანი გახდება. მაშ, ისლამი რას ნიშნავს? როცა ადამიანი ამბობს `მე მუსლიმანი ვარ~ ან `მე მუსლიმანი გავხდი~, არის თუ არა შესაძლებელი, ის ამით იყოს ნამდვილი მნიშვნელობით კარგი მუსლიმანი?

რათქმაუნდა უპირველესად უნდა წარმოვთქვათ და გულით ვირწმუნოთ სიტყვა: ლა ილაჰე ილლალლაჰ, მუჰამმედუნ რასულილლაჰ (არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი ﷺ მისი შუამავალია)~, მაგრამ ამით არ უნდა შემოვიფარგლოთ. რადგან ნამდვილი მნიშვნელობით მუსლიმანი, რომ ვიყოთ, ამისათვის საჭიროა წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავლის მოტანილი კანონები, მითითებები უნდა შევიცნოთ და ვაღიაროთ.

ე.ი. თუ ჩვენს ცხოვრებაში ჩვენს მიერ სიტყვიერად აღიარებული ისლამის სარწმუნოების მითითებებისა და კანონების შესაბამისად მოვიქცევით რომლის მიზანია ადამიანთა მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება, აი მაშინ შეგვიძლია ვიყოთ ნამდვილი მნიშვნელობით სრულყოფილი მუსლიმანი.

მუსლიმანი აუცილებლად მკოდნე უნდა იყოს

ამ განმარტებების საფუძველზე შედეგი მიღებულია. ე.ი. ნამდვილი მნიშვნელობით კარგ მუსლიმნად ყოფნისათვის აუცილებელი პირობაა წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავლის მოტანილი ბრძანებების, კანონების შეცნობა. ეს კი ცოდნით არის შესაძლებელი. რის შემდეგაც განხორციელებაა საჭირო. წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელმაც წიგნი აიღო სათაური ცაიკითხა და არ გადაშალა ამ ადამიანის მიერ წიგნის სახელის ცოდნა განა იმას ნიშნავს, რომ მან წიგნი წაიკითხა, გაიგო და მისგან სარგებლობა მიიღო? რათქმაუნდა, არა. წიგნის ცოდნისა და მისგან სარგებლობის მიღებისათვის განა საჭირო არ არის, რომ გადაშალოს და წაიკითხოს იგი?

წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავლის მოტანილი ნორმები, , კანონები თუ არ ეცოდინება ადამიანს, როგორ შესძლებს ირწმუნოს ალლაჰი არ ეცოდინება როგორ მოიქცეს, როგორ იცხოვროს, როგორ გაატაროს ისლამის სარწმუნოების წესები თავის ცხოვრებაში?

თუ ადამიანი მუსლიმანი ოჯახის შვილია, მუსლიმანურ სახელს ატარებს, მუსლიმანების მსგავსად იმოსება, მაგრამ წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავლის მოტანილი კანონები არ იცის, და ვერ შეუცნია ისლამი, მაშინ როგორი მუსლიმანი იქნება? მაშინ რა მნიშნელობა ექნება იმ ადამიანს მარი/ჯორჯი ერქმევა თუ აიშე/ალი და საერთოდ რა განსხვავება შეიძლება იყოს მათ შორის?

როგორც ვხედავთ ორ მხარეს შორის არსებული ნამდვილი განსხვავება ცოდნის შედეგად ჩნდება. რადგან ურწმუნო ადამიანი ვერ გაიგებს რა კავშირია სამყაროთა ღმერთ-ალლაჰსა და პირადად მას შორის. მას მისი გამჩენი უზენაესი ალლაჰის მიერ მითითებული ჭეშმარიტი გზის შესახებაც არაფერი ეცოდინება.

თუ მუსლიმან საზოგადოებაში დაბადებულმა ადამიანმაც სწორედ იმ ურწმუნოს მსგავსად ალლაჰის შესახებ არაფერი იცის და ასე ცხოვრობს, მაშ, რაღა განსხვავება შეიძლება იყოს მათ შორის, თუნდაც ერთს `ურწმუნო~ ერქვას, მეორეს - `მუსლიმანი~?!..

ჩვენზეა დამოკიდებული ალლაჰის მიერ ჩვენთვის ისლამის სახით ბოძებული უდიდესი წყალობის შენარჩუნებაც, მოპოვებაც და დაკარგვაც. ყველაფერი ჩვენს ცოდნასა და სწავლაზეა დამოკიდებული. რადგან ცოდნის გარეშე წყალობის მოპოვება შეუძლებელია. მოპოვებულიც რომ გვქონდეს, უვიცობით დავკარგოთ. უვიცობის გამო, ეს წყალობა ისევ ჩვენთან გვეგონება. მაგრამ შესაძლოა მუსულმანობისგან ძალიან შორს ვიყოთ.

თუ მუსლიმან ადამიანს ისლამსა და ურწმუნობას შორის განსხვავება არ ეცოდინება, თუ ვერ შეიცნობს რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან ისლამი და ურწმუნობა, შესაძლოა სავალალო შედეგამდე მივიდეს. იგი, უკუნეთ ღამეში ბილიკზე მიმავალ მგზავრს ჰგავს. მგზავრს, რომელმაც არ იცის სად მიდის, შესაძლოა წინ მაცდური გადაეყაროს და უთხრას: `შენ მცდარ გზას დასდგომიხარ, მოდი მე შენ ჭეშმარიტი გზით წაგიყვან-ო˜ - და გზას გადააცდინოს, . მაგრამ ის ადამიანი მცოდნე რომ ყოფილიყო, მართალ გზას არ გადასცდებოდა და მაცდურ-მატყუარაც ვერ აცდუნებდა .

სწორედაც, ჩვენ მუსლიმანთათვის ყველაზე დიდ ხიფათს ისლამის უცოდინრობა, ისლამის ჭეშმარიტებათა შეუცნობლობა წარმოადგენს. თუ მუსლიმანმა ადამიანმა არ იცის რას ბრძანებს ალლაჰი წმინდა ყურანში, და არაფერი იცის მუჰამედ შუამავლის მოღვაწეობის შესახებ| შესაძლოა გზა აებნეს, ცდუნებულ იქნეს და გადაცდენილ იქნეს ჭეშმარიტი გზიდან.

მაგრამ თუ მუსლიმანი ისლამის შემეცნებით განათლდება, მთელი ცხოვრების მანძილზე იგი თავის ყოველ ნაბიჯს სწორი მიმართულებით და მართალ გზაზე გადადგამს. გზააცდენილობის, ურწმუნობის, კერპთაყვანისმცემლობის, ცოდვილობისა და ზნედაცემულობის მიზეზებს ჩასწვდება და თავს დაიცავს მათგან. ისლამის სწორ-ჭეშმარიტი გზიდან თავისი გადაცდენის, მოცდენის მსურველთა მიზანსაც მაშინვე მიუხვდება და შესაბამისად მოიქცევა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐ ᲕᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲠᲝᲚᲘᲡᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲕᲐᲜᲘᲭᲔᲑᲗ?

ჩვენს საქმიანობას რაოდენ დიდი ყურადღებით ვეკიდებით, არა? ჩვენს პროფესიასთან დაკავშირებულ საქმეებს რაოდენ დიდი ყურადთებითა და სერიოზულობით ვაკეთებთ, არა? იმიტომ, რომ ასე თუ არ მოვიქცევით საარსებო საშუალებას ვერ უზრუნველვყოფთ, პატივისცემას დავკარგავთ. კი მაგრამ, რა დონის მნიშვნელობას ვანიჭებთ და რა დონის ყურადღებას ვიჩენთ იმისათვის, რომ ვიყოთ ნამდვილი მუსლიმანები და იმ ცოდნის მიმართ, რომელიც ჩვენში მუსლიმანობას განამტკიცებს და მის ურყეობას უზრუნველსაყოფს? როდესმე თუ დავფიქრებულვართ, რომ ამ ცოდნის უქონლობა, რწმენის სახით უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი წყალობის დაკარგვის მიზეზი გახდება? ისევე, როგორც ვეცდებით, რომ არ დავკარგით სამუშაო, ასევე უნდა ვეცადოთ რომ ცოდნა შევიძინოთ და არ დავკარგოთ რწმენა.

ყოველდღიურად მხოლოდ 1 საათი

არ ვამბობთ, რომ ყველა ჩვენთაგანი გავხდეთ ისლამის მეცნიერი, წავიკითხოთ უამრავი წიგნი.

მხოლოდ ამას ვამბობთ: მუსლიმანმა ადამიანმა დღეღამეში 24 საათიდან 1 საათი მაინც უნდა დაუთმოს ცოდნის შეძენას ყველა მუსლიმანმა, ახალგახრდამ თუ მოხუცმა, ქალმა თუ კაცმა, ამ 1 საათის განმავლობაში რელიგიური საკითხები უნდა ისწავლოს, უნდა გაერკვეს თუ რა მიზნით გარდმოევლინა წმინდა ყურანი და გაეცნოს, რა კანონები მოიტანა მან. უნდა დაინტერესდეს და შეისწავლოს, რა გვიბრძანა ალლაჰმა და რა აგვიკრძალა? როგორ განახორციელა ისინი წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავალმა, როგორ იცხოვრა. უნდა შეისწავლოს იმ უდიდესი შუამავლის მოწოდებული ცხოვრების წესი.

ამ ცოდნის შეძენას დიდი დრო არ სჭირდება. თუ-კი ჩვენს წარმოდგენაში რწმენა ძვირფასი და მნიშვნელოვანია, მაშინ დღე-ღამეში ჩვენს განკარგულებაში მყოფი 24 საათიდან ისლამის შესწავლისათვის 1 საათის დათმობა სულაც არ უნდა წარმოადგენდეს სიძნელეს. მთავარია მხოლოდ მონდომებით, ნებისყოფით, შეგნებით მიდგომა და დაუყოვნებლივ მტკიცედ საქმის დაწყება. ალლაჰი მართალთა შემწე და დამხმარეა.

ნამდვილ ფასეულობა:

• `უეჭველად, ალლაჰისათვის მისაღები სარწმუნოება, მხოლოდ ისლამია.~
(სურა ალი-იმრანი, აიათი 19)

• `..... დღეს (ამას იქით) სრულვქმენ თქვენთვის სარწმუნოება თქვენი და სრულვჰყავ სიკეთე ჩემი თქვენ(ზედ)დამი. და კეთილვინებე თქვენთვის სარწმუნოებად ისლამი....~
(სურა-მაიდა, აიათი 3)

• `ვინც ეძებს ისლამის გარდა (სხვა) სარწმუნოებას, არ მიიღება (ღვთის წინაშე) მისგან (სარწმუნოება იგი) და იქნება ის საიქიოში დაზარალებულთაგანი~
(სურა ალი-იმრანი, აიათი 85)

• `ისაა (ალლაჰი), რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავლები ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, ყველა სარწმუნოებაზე მაღლა დაყენებისთვის. მოწმედ ალლაჰი კმარა~.
(სურა ფათჰი, აიათი 28).

წმინდა მუჰამმადის ﷺ მოძღვრებიდან:

• `რომელი თქვენთაგანიც სულიერი (მუსლიმანი) ძმისთვისაც იმასვეს არ ისურვებს რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებს, სრულყოფილი მორწმუნე არ არის˜.

• `ვისაც ალლაჰი და საიქიო სწამს, ან სასიკეთო რამ თქვას ან გაჩუმდეს. ვისაც ალლაჰი და საიქიო სწამს, მეზობელს პატივი სცეს. ვისაც ალლაჰი და საიქიო სწამს, სტუმარს პატივი სცეს˜.

• `სადაც არ უნდა იყო, ალლაჰისადმი (ურჩობისაგან) მოკრძალებით იყავი. ცუდის ჩადენის შემდეგ დაუყოვნებლივ სიკეთე ჰქმენი, რათა ის ცუდი გააზათილოს. ადამიანებსაც კეთილად მოეპყარ˜.

კულტურული მომსახურება,
ეს გამომცემლობა ეკუთვნის შპს. İnkılab-ის გამომცემლობას